



„ღმერთო, სამშობლო მღვდელსა, მძინარეც ამას ვღუდუნებ!“

# მზავად სადა წეღს, საქართველო... კავშირისა

პროგრული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გახმაურება №11-12 (57-58) ნოემბერი-დეკემბერი 2011 წელი შანი 1 ლანი

## 4 იანვარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის, ილია II-ის დაბადების დღეა

### უწმინდესა და უნეტარესს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს


მარიამობა მზიანობს, არ ჩანს ნაფლეთი ღრუბლისა, თაგს გგადგას შენი სახითა დიდი წყალობა უფლისა, ღირსეულთ აპარადისებ, გზაზე აყენებ უღირსთა, აწეწილ დროში მოგერგო ზიდგა უმძიმეს უღლისა.

მიგვიძღვი, წინ იშლებიან სიგრცენი უნაპრონი, გონზე მოდიან ისინიც, ვინც იყვნენ სათაკილონი, ფაღეთში აყვავებულა, ნაფეხურები ნინოსი და ღვივის მცხეთის კარებთან ილიას სისხლი მირონი...

ერთ და ბერო გელიან საქმენი გასაკვირონი, გზა ერის გადარჩენისა არის არც ისე იოლი, ქარიშხლად ბეგრჯერ ქცეულან ამოდ მქროლაგი სიონი, პრომეთეს ცეცხლის კერაა, ქედები კაკაპსიონის,

გვანსოვდეს ველი კრწანისის და ეზო-კარი სიონის... ძნელია დიდი ქვეყნების გვერდით დგომა და ტრიალი, ცოტას თუ ახსოვს სამშობლო, ხარობენ გულის ჭიანის, დგას სადუნ-მანკაბერდლების ნაშოგნი ფულის ჩხრიალი...

შენ მადლიანი სიტყვა გაქვს, თენდება ღამე მზიანი,



სიტყვა ღმერთია, სუსტდება სიკვდილის ფრთების შრიალი..  
ჟამი დგას ჩვენი გამოცდის, რთული და მრავალხიანი...  
იყო დრო დიდგორს ვმღეროდით, თანაც მეტეხთან ვტიროდით,  
სისხლით და ოფლით ვკვდებოდით მიწას,  
ღვთისმშობლის წილობილს,  
ეს ჩვენც ვყოფილვართ ლაშარსა, გველო ჭრილობებს გვილოკდი...  
სული-ღმერთს, გული-სამშობლოს,  
მტრებო თქვენ გქონდეთ რბილობი...  
რამდენჯერ ბოროტებასა გადაეღობე ფარადა,  
ლელო ღუნაის ნათქვამი, აგვინთე კალეპტარადა!  
სიბრძნის შუქ-სვეტად ჩამდგარო დარიალაის კარადა,  
ღმერთმა გიმრავლოს ნათლულნი, უფლის ნათლულო თაგადა,  
სულიერებას გვიმალღებ წმინდა მამების დარადა,  
„გაგვიძღვი, ბერო მინდიაგ“, მიგვყვებით კვალ და კვალადა!

ივანე ღიკლაური  
(ჯურხათ ივანე)

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისადმი მიძღვნილი წერილები იხილეთ მე-2 გვერდზე





# დედოფლისწყარო — საქართველოს

— ბატონო ნიკოლოზ, რას გვეტყვით დედოფლისწყაროს ისტორიის შესახებ?

— დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში, ივრის ზეგანზე მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მდინარე ალაზანი, ხოლო სამხრეთიდან მდინარე იორი. აღსანიშნავია, რომ ეს ორივე მდინარე, ამავე დროს, წარმოადგენს სახელმწიფო საზღვარს. ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება აზერბაიჯანი, ხოლო დასავლეთიდან — სიღნაღის მუნიციპალიტეტი.

დღევანდელი დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე მდებარე ხორნაბუჯში ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში საეპისკოპოსო დააარსა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი განვითარებული კუთხის — კამბეჩოვანის პოლიტიკური ცენტრი. იგი სტრატეგიული გზების ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის რაიონების გადაკვეთაზე მდებარეობდა.

კამბეჩოვანი, იგივე კამბეჩანი, კამბეჩიანი წარმოადგენდა იბერიის, ალბანეთისა და სომხეთის მოსაზღვრე ტომებით დასახლებულ ადგილს, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მტკვრის ჩრდილოეთით, ყარაის ველის ქვემოთ მდებარე მთიანეთსა და ალაზნის ქვემო დინების აუზებამდე. ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა მიწათმოქმედების, მესაქონლეობის (მათ შორის მეცხვარეობის), მევენახეობის და სხვა დარგების განვითარებას. იწარმოებოდა საომარი იარაღი, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვა. აქაური კერამიკული ნაკეთობები განსაკუთრებული ფერითა და ფორმის სინატიფით გამოირჩეოდა. **ხორნაბუჯზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები, რაც ხორანათსთან, ჭვარამთან და ნეკრესთან ერთად ერთიან სისტემას ქმნიდა.**

სხვადასხვა სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების შეჯახების პროცესში ამ კუთხემ ბევრი ბრძოლა და ახსნა გადაიტანა: V საუკუნის დასასრულს ხორნაბუჯი ირანის შაჰს კავად I — ს შეუშუსრავს. VI საუკუნიდან ეს ციხე კამბეჩოვანის ერისთავის რეზიდენცია იყო. VI საუკუნის I ნახევარში, კამბეჩოვანში

**ნიკოლოზ შანშიაშვილი — დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი, დაიბადა ქალაქ წითელწყაროში, აქვე წარმატებით დაამთავრა №2 საშუალო სკოლა, უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც დაეუფლა: „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის“ პროფესიას, შემდეგ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, — „ფინანსების და საბანკო საქმის“ სპეციალობით, ერთი წელი მუშაობდა მიწის**



XII-XIII საუკუნეებში კამბეჩოვანში თითქმის 70-80 ათასი კაცი ცხოვრობდა, თვით ხორნაბუჯში კი, სავარაუდოდ, 10-15 ათასი კაცი. XII საუკუნეში, თამარის მეფობის ხანაში ციხე-ქალაქი განსაკუთრებით გაძლიერებული და ჩაბმული ყოფილა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. აქ გადიოდა საქარავნო გზები და საქონელი ინდოეთიდან და ჩინეთიდანაც კი აღწევდა.

კამბეჩოვანი 1264 წელს ბერქა ყაენმა მოაოხრა, ამას მოჰყვა თემურლენგის ლაშქრობები. ზამთრის საძოვრებზე მოთარეშე ტომებმა და პირუტყვმა ხელი შეუწყვეს ამ ტერიტორიაზე მიწათმოქმედების დასუსტებას, ამოწყდა და გადაშენდა თვით ხორნაბუჯედი ერისთავთა მასატილის ძეთა სახელგანთქმული საგვარეულო.

კამბეჩოვანის გაქრობასთან ერთად ისტორიულ წყაროებში ქრება სახელწოდება „ხორნაბუჯი“. გვიან საუკუნეებში ამ ადგილს უკვე „ჭოთად“ მოიხსენებენ. თუმცა ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრეს თავისი საფორთიფიკაციო დანიშნულება არ დაუკარგავს. XVI საუკუნეში კახთა მეფეებს ციხე განუახლებიათ. ალექსანდრე II-ის მეფობის დროს ხორნაბუჯის ციხე კვლავ ასრულებდა თავის ფუნქციას. ბოლოს ეს ციხე ერეკლე მეორემ აღადგინა და ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლებისას იყენებდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ამჟამინდელი დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე რუსებმა დააარსეს პირველი სამხედრო ქალაქი დრაგუნთა პოლიკის განსათავსებლად, სადაც ნელ-ნელა მოსახლეობაც გაჩნდა. დასახლებას მოიხსენიებდნენ როგორც „ცარსკიე კოლოდცი“-ს.

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამ ადგილს ეწოდა „დედოფლის წყარო“, თუმცა ძალიან მოკლე დროით. გასაბჭოების შემდეგ, 1938 წელს სიდ-

მარტიის დედოფლისწყაროს სამმართველოში სპეციალისტად, 2003-2006 წლებში — დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილედ, 2007-2008 წლებში იყო დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, 2008 წლიდან გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსია, შემდეგ გამგებლის მოადგილე. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში ასრულებდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას, 2010 წლის 18 ივნისიდან საკრებულომ ერთხმად გამგებლად აირჩია.

მკვიდრია, არბოშიკიდან არის, პოეტი მარინე ცხვედიაშვილიც; სოფელ ოზანში დაიბადა და გაიზარდა მწერალი ჯემალ მენურიშვილი; ქალაქ დედოფლისწყაროდან არიან ცნობილი მსახიობები: მზია არაბული, ლევან ჯიბლაშვილი და ლევან ყორიაშვილი; ძიუდოს ფედერაციის მდივანი ანზორ მარტყოფიშვილი სოფელ ზემო მანსაანიდან არის. ზემო ქედლიდან არის ცნობილი ძიუდოისტი, მსოფლიოს სამეზის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი; მსოფლიო ოლიმპიადის III პრიზიორი, თურქეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული მირზანიან — ბადრი გაგაშვილიშვილი; მსოფლიო ჩემპიონები კიკ-ბოქსინგში: სოფელ სამრეკლოდან (ყოფილი ჯაფარიძე) — ელენე ბოლაშვილი და ქალაქ დედოფლისწყაროდან — გიორგი წიკლაური... — რა კეთდება თქვენთან ხალხის კეთილდღეობისათვის?

— საკმაოდ ბევრი რამ: მოწესრიგდა სოფლების გაზომარაგება, თუ არ ჩავთვლით ე. წ. ქედების ზონის სოფლებს. მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა ინსტანციების ღონეზე ამ სოფლების გაზოფიცირებისთვისაც: არცერთ სოფელში აღარ არის ელექტროენერჯის და სასმელი წყლის პრობლემა, ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობა კი 24-საათიანი გრაფიკით იღებს წყალს, თანაც საკმაოდ ხელმისაწვდომი ტარიფით: მოასფალტდა ქალაქის ცენტრალური გზები, ფეხით საავალიანოები, კეთილმოეწყო სკვერები და ბალები; მოიხრეშა ან მოასფალტდა სოფლების ცენტრალური და საუბნო გზები; გაკეთდა სანი-ალვრე არხები, მოეწყო წყაროების სათავეები და მათთან მისასვლელი გზები; სპორტული მოედნები, ცენტრალური ქუჩების გარე განათება, მგზავრთა მოსაცდელი; სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ხორციელდება სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამები.

— **კონკრეტულად რა პროგრამება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის?**


— ჩვენ ვაფინანსებთ უფასო კვების ობიექტებს, ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯებს, ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახებს, I ჯგუფის ინვალიდებს, ინვალიდ ბავშვებს, მარტონელა დედებს, მრავალშვილიან ოჯახებს (ოთხი და მეტი შვილი და ერთი ან ორი შვილი მაინც არის არასრულწლოვანი); ახალდაბადებულბავშვთან ოჯახებს, საქართველოს ტერიტორიული მილიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ, დაჭრილ და დაზარალებულ (დევნილთა) ოჯახებს, ყოველთვიურად ელექტროენერჯის გადასახადს, უბატონო მიცვალებულების დაკრძალვის ხარჯებს, სტაციონარში მკურნალობას, ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით დაზარალებულ, ავარიულ საცხოვრებელ სახლებში (სიცოცხლისთვის საშიში) მცხოვრებ ოჯახებს, ზამთრის პერიოდში შეშით ვუზრუნველყოფთ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს. ამ ყველაფრისთვის მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 60 000 ლარი.



ირანელების ბატონობის დროს, ირანელების ჯარი მდგარა. ამ დროს მათ ხორნაბუჯის ციხეში საფორტიფიკაციო ხასიათის მშენებლობაც უწარმოებიათ.

ქალაქის ხელახალი აღმავლობა დაიწყო VI საუკუნის II ნახევარში, როცა კამბეჩოვანში ირანელების ბატონობა დაემხო და ხორნაბუჯს ქართული სახელმწიფოს მმართველთა შტო დაეპატრონა. ამ დროიდან დაწყებული, მთელი ადრე ფეოდალური ხანის პერიოდში, **კამბეჩოვანი, როგორც მონაპირე ერისთავის რეზიდენცია, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პერიოდის ცხოვრებაში.** მას საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრების დაცვა ევალებოდა.

XI საუკუნეში ხორნაბუჯი მცირე ხნით თურქ-სელჩუკებს სჭვრიათ. დავით აღმაშენებლის მიერ სელჩუკიანი თურქების საქართველოდან გარეკვის შემდეგ კამბეჩოვანი კვლავ აღდგა სანაპირო საერისთავოს ფუნქციით და მე-13 საუკუნის ოციან წლებამდე კარგადაც ასრულებდა ამ ფუნქციას.



# ადგოს ავღეთის კარიბჭე

**დელოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წინსვლისთვის რა მიგანიათ უმთავრეს საჭმელ?**

კულტურული, საგანმანათლებლო, აგარული, სამრეწველო და ზოგადად, კერძო სექტორის განვითარება, ამ მიზნით მიზნობრივი ტრანსფერების, ინვესტიციების, გრანტების მოზიდვა და სხვადასხვა პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება.

**ამბობენ, თქვენი ვაშლოვანის ნაკრძალი დელოფლისწყაროს სავიზიტო ბარათიაო, რა საქმიანობით არის განპირობებული ეს გამოჩენა?**

ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ფართოდ არის გავრცელებული ვაშლილი ნათელი ტყე, რომელიც ტანდაბალი ხეებისა და ბუჩქებისაგან შედგება. მათ შორის გაბატონებულია ღვია, საკმლის ხე (სალსაღვი), ბერყენა. ნათელი ტყის ძირითად ჯიშებთან შერეულია ძეძვისა და კოწახურის ბუჩქებიც. დამახასიათებელია ელდარის ფიჭვი.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორია დელოფლისწყაროში, ივრის მარცხენა მხარეზე, პატარა შირაქის სამხრეთით მდებარეობს. მისი ფართობი 35 ათასი ჰექტარია. ყველაზე დაბალი ადგილი ზღვის დონიდან 200 მეტრზეა, ყველაზე მაღალი – 600 მეტრზე. ეს არის ადგილი, რომელიც მორთულია რელიქტური

ნუსხაშია შეტანილი. არის ტალახის კულ-კანებიც.

ეროვნულ პარკში ხორციელდება ამ ტერიტორიაზე ცხოველთა გადაშენებული სახეობის – **ჯეირანის** – პოპულაციის აღდგენის პროექტი, ვაშლოვანში კარგად არის განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა: ქალაქ დელოფლისწყაროში არის თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი **ვაშლოვანის ვიზიტორთა ცენტრის ადმინისტრაციული შენობა**, ასევე, საინფორმაციო ცენტრი ვიზიტორთათვის, საოჯახო სასტუმროები, ღამის გასათევი და საპიკნიკე ადგილები, **აქ ტურისტული მარშუტების მრავალფეროვანი არჩევანია.**

**ახალგაზრდების დასაქმებისთვის რა საშუალებები გაგანიათ?**

არამარტო ახალგაზრდებს, არამედ, საერთოდ, უმუშევართა კატეგორიას, ვთავაზობთ საინვესტიციო და სოფლის დახმარების პროგრამების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებში დასაქმებას, საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტური ადგილების შემთხვევაში, ატარებს კონკურსს და ასაქმებს საუკეთესოებს. ადმინისტრაციულ სამსახურში, დასაქმების თხოვნით შემოსული განცხადებების საფუძველზე, შექმნილი გვაქვს მონაცემთა ბაზა. ცოტა ხნის წინ, მოვიწვიეთ თელავის დასაქმების ცენტრის და მიგრაციის საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლები, რომლებმაც შეხვედრაზე მოსული მოქალაქეები თელავის დასაქმების ცენტრის მონაცემთა ბაზაშიც დაარეგისტრირეს, ასევე, მცირე ბიზნესის დაწვევების მსურველებს და ურიგაოთ სააპლიკაციო



ლია 300 ახალგაზრდა. მათ წრთენას ემსახურება 14 სპეციალისტი. წელს სპორტული კალენდრით გათვალისწინებულ სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამართულ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ რაიონის სპორტსმენები. საქართველოს პირველობაზე გამართულ ჩემპიონატში მონაწილეობდა ჩვენი 400-მდე სპორტსმენი, საერთაშორისო ტურნირებში – 10. რაიონისა და კახეთის რეგიონალურ პირველობაში მონაწილეობა მიიღო 700 – მდე სპორტსმენმა. მაგ. ქალაქ ანტალიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში (ჭიდაობა ძიულ) ჩემპიონი გახდა **მარიამ ჯანაშვილი**; რაგბში გამართულ „მიმინო“ თასის მფლობელი გახდა დელოფლისწყაროს „მიმინო“. კიკბონქსინგში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ **გიორგი გომერშიძე და ლევან წიკლაური**. **კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებობს ქორეოგრაფიული ანსამბლები და გოგონათა და გაუთა ხალხური სიმღერის გუნდები. 150 – მდე მოზარდს ემსახურება დელოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა, თავისი სამი ფილიალით. წლეულს სკოლაში გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩაბმულია 280 მოსწავლე. „ვერაზის“ ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ახალგაზრდული იდეის“ ფარგლებში ჩამოყალიბებული ახალგაზრდული ბანკის წევრები ახორციელებენ მცირეგრანტიან ახალგაზრდულ პროექტებს. მარტო გასულ და მიმდინარე წელს ასეთი 10 – მდე პროექტი განხორციელდა.**

პირობებიდან გამომდინარე, მესაქონლეობის მთავარი დარგებია: მეძროხეობა, მეცხვარეობა, მცირედ – მეღორეობა. განვითარებულია, ასევე, მეფუტკრეობა.

დელოფლისწყაროში მევენახეობას უძველესი დროიდან მისდევდნენ. აქ მზადდებოდა ღვინო, არაყი, ბადაგი, ჩურჩხელა. ახლაც ასეა.

იწარმოება **ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი**: ხორბალი, ფქვილი, მწესუმწირის ზეთი, საქონლის და ფრინველის ხორცი, ძროხის, კამეჩის რძე და რძის პროდუქტები, თაფლი, კვერცხი, თეთრი და შავი ღვინოები, ბოსტნეული და სხვა.

როგორც მოსახლეობიდან შევიტყვევებ, დელოფლისწყაროს შესასვლელის **სიახლოვეს არის დაახლოებით ორი კილომეტრი სიგრძის გზა, რომელიც ნოდარ დუმბაძის სახელს ატარებს და დელოფლისწყაროს ეკვრის. ამ ქუჩის მოხინაღრეებმა ჩემთან შეხვედრისას გულისტკივილით აღნიშნეს, რომ მოსაწესრიგებელია ეს ქუჩა. გვაღვივებს დროს მტერის კორიანტელი დგება, ხოლო უფრობისას და წვიმების დროს ლაფში იფელებიან. მოსახლეობა კი ვაივავლახით გადაადგილდება ერთი ადგილიდან – მეორეში და ცენტრალური გზისკენ.**

ქრისტიანული დღესასწაულების დროს: წყალკურთხევის თუ სხვა, მაცხოვრებლები და სამღვდლო პირები ამ გზით სარგებლობენ და ამბობენ: **ორიფენებით ან ბოტებით თუ ვახერხებთ ადგილამდე მისვლასო.**


აქვე წყაროა, რომელსაც ისტორიულად დელოფლისწყარო ეწოდება. ამ დასახლებას კი ისევ საბჭოური წყობილების, დროინდელი სახელი – **წითელწყარო შემორჩენია, არადა, ეს ადგილი და ტერიტორიულად აღნიშნული წყაროც აქაური მოსახლეობის მფლობელობაშია და ერიც და ბერიც ამ გზით სარგებლობს.** განვლილ წლებში რაიონის ხელმძღვანელობისგან ყოფილა დაპირებები, მაგრამ ამაოდ, დაავიწყდათ თუ რა, ნოდარ დუმბაძის ქუჩის მცხოვრებლები უარეს დღეში არიან ჩავარდნილები.

აქაურები ითხოვენ შეიცვალოს მათი დასახლების სახელწოდება – **წითელწყარო და დაუბრუნდეს მისი ძველი და ნამდვილი სახელი – დელოფლისწყარო.**

მომავალი წლიდან მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწვება. თუ სოფლის მოსახლეობა გადაწყვეტს, რომ პირველ რიგში სოფლისათვის პრიორიტეტული იქნება დუმბაძის ქუჩის მოწესრიგება, მაშინ ეს პრობლემა სამომავლო გეგმებში შევა.

ახლახანს საკრებულოს დადგინილებით სოფელ **წითელწყაროს** შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა ისტორიული სახელი – **ხორანაუჯი**, ვფიქრობთ ეს სახელწოდება მათთვის მოსაწონი იქნება.

ესაუბრა იზა ჯაბაძემ



ხე-მცენარეებით, დიდრინი საკმლის ხეებით, მარადმწვანე ღვებებით. **პანტიშარის** ხეობაში ორივე მხარეს აღმართულია ციხე-სიმაგრეების მსგავსი შვეული კლდეები, რომლებზეც **მერცხლებს საკუთარი ქალაქი აუშენებიათ.** საოცარი სანახავია **ალესილების პანორამა**, სადაც მრავლად არის, მტაცებელი ფრინველი. ვაშლოვანი გამოირჩევა ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით, ბევრია იშვიათი და გადაშენების პირას მისული ცხოველები და მცენარეები, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს წითელ წიგნსა და წითელ

განაცხადის ფურცლები და მცირეგრანტიან კონკურსში მონაწილეობა შევთავაზეთ. ათამდე მოქალაქემ გაგზავნა ბიზნეს-გეგმები. ასე, რომ ჩვენ მცდელობას არ ვაკლებთ, ბევრი რამ მათ აქტიუობაზე და უნარზეც არის დამოკიდებული.


**ძირითადად რით არის დაკავებული ახალგაზრდობა?**

ახალგაზრდობა აქტიურად არის ჩართული კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში. დელოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის მიერ შექმნილ სპორტულ სექციებში გაერთიანებუ-



ბაბურ ბალარჯიშვილი

მე ჩემს მეგობარს, რომ სისხარული გავუზიარო.



თელავი 94

ქიზიყური
მე მაგონდება სიღნაღის ციხის
ძველი ბურჯიდან
გელი ალაზნის,
სადაც წარსულის
წარმართულ ქარებს
თრევით მიჰქონდათ
მიწა ბალახზე.
როცა ელაგდა როგორც კოცონი
ულევ ურდოთა სახე ველური
და ქიზიყელი მიტორტმანებდა
სისხლდაღვრილი
და სისხლდაღვრილი.
როცა ტაძრებს
და როცა გენახებს
ბოლმით აფურთხეს გესლი
და ცოფი,
როცა კახელთა ამაყი ჯიში
ჩეხეს ხმლითა
და დაცხრილეს თოფით,
როცა ბავშვები, გაოცებულნი
თროთდნენ
ველური ყიჟინის ხმისგან,
მოკლულ მამების
გაგამზე ცოცხადნენ
და თოთო ხელებს
იშვრდნენ ხმლისკენ...
„არც არავის ყმა გყოფილვარ,
არც არავის ყმად მყოლია.
ცოტა პური, ძველი ღვინო —
წლიდან წლამდე გამყოლია“.

გამახსენდა და გული გაჩერდა.
მე ახალ ბაღში ისე ვიჯექი,
როგორც ნახვამი
მძლოლი საჭესთან.
მე სხვაც მიყვარდა,
მასაც ვუყვარდი —
მაგრამ რა გქნა
და ვარ ეჭვიანი...
ეს მოგონებაც ისე მოვარდა,
როგორც შოსეზე
შინის ღრჭიალი.
ო, ჩემი გული ისე საგესა,
არ განარჯულა
თითქოს საერთოდ,
მაგრამ ვაი რომ გზაჯვარედინზე
უკვე წითელი შუქი აენტო.
მიდიან წლები...
ნუთუ ვბერდები?...
ასე ეული და გარიყული...
და მილიციის ეზოში გდგეგარ,
ვით დაღვრილი.

\*\*\*
როგორც მაჭარში შუშუნა
იყო ღრეობა კახური,
და სიტყვა, როგორც გინების
შემდეგ კარების ჯახუნი.
ბედმა ნაბადი მახურა ყინვაში
ჯერ არ ნახული
და მადლი, უსათნოესი
ღვთისმშობელისა ნახულის...
წამოველ, ნამუსი მქონდა
ბრწყინვალე ვერ შელახული.
\*\*\*
გარდისუბანი, შუშანას ხევი,
სოფელი მერე...
გელარ მოვისწარ, გელარ გნახე,
გერ მოგეფერე...
ბედის ყისმათი დაკიდულა
პირქუშ სახეთი —
უთქმელია და გულსგიარა
ჩემი კახეთი.
გომბორს გზადაგზა მიუყვება
ზანტი მშვენება,
მითხარით მძებო! — უგენახოთ
რა გგეშვებება...
როგორ დავლოცოთ კვალი
ჩვენი მიწად მაგალი,
მწარე წარსული, მწარე აწმყო
და მომავალი...
ჭრელი ხეგები და რიყეში
ხვითქია ღელე,
მრავალჟამიერ-ნანდაშეგული
დარდის გუმანი...
ჩემო კახეთო, მიპასუხე, რასა
იქმ მერე...
— ჰმ... მერეს იქით შუშანას
ხევი, გარდისუბანი...

ქრისტეშობა

რ. ქურციკაშვილს


სისხარულს ხშირად
მცირეც ყოფნის და
გულსაც სხვა
მეტი არა უნდა რა —
ქრისტეშობაზე თოვლი მოვიდა,
თელავს დაჰფინა
თეთრი სუდარა.
ღმერთო, ხალისად ესეც შეყოფა,
სისხლმა პარღვებში
რათა იაროს,
გავალ, გავუვლო

საგზაო შემთხვევა

(იუმორესკა)

მიყვარდა ერთ დროს
გოგონა ერთი —

თელავის გულშემატკივარი



ბატონო ფარნაოზ, რამდენიმე
ათეული წლით უკან გადავინაცვლოთ
და თქვენი ცხოვრების განვიღო გზას
გადავავლოთ თვალში...
ჩვენი ოჯახი თელავში ცხოვრობდა,
მაგრამ მე ახმეტის რაიონის
სოფელ ზემო ხოლაშენში დავიბადე.
სადაც ბებია და პაპა ცხოვრობდნენ.
წარჩინებით დავამთარე თელავის
რეაწლიანი სკოლა. შემდეგ პირველ
საშუალო სკოლაში გადავედი. ზემო
ხოლაშენში, მოხუცები მარტონი
დარჩნენ. ჩემმა მშობლებმა ვაღ-
აწვეტიეს, მათთან ვყოფილიყავი და
სოფელში მესწავლა. ბებია
და პაპა განათლებული ად-
მიანები იყვნენ. მათგან
ბევრი რამ ვისწავ-
ლე. განსაკუთრებით
კარგად, რუსულ


უფროსი თაობის თელაველებს კარგად ანსოვთ
ყვავილნარითა და
ბერიანთა ხეებით დამშვენებული ქალაქი.
ლაშაზად გამოიყურებოდა,
თელავის ცენტრალურ მოედანზე ქვევრები;
სასიამოვნო სანახაო იყო ძველი
კინოს წინ, ფერადი ყვავილებით
გაქეთებული ხალიჩა... ეს არის მცირე
ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რასაც
ჩვენი თანაქალაქელი, უბრალოდ
ლოლაშენი აკეთებდა. ქალაქში,
გზის პირას, ბაღებსა და სკვერებში,
ჭადრებისა და ძველისძველი ხეების
გარდა, — ყველაფერი ბატონი
ფარნაოზის დარგულია. ამაგდარი
დეკორატორის სამუშაო გამოცდილება
ნახევარ საუკუნეს ითვლის. ფარნაოზ
ლოლაშენი თელავის მუნიციპალიტეტის
გამგებობის ინფრასტრუქტურისა და
უზრუნველყოფის სამსახურში,
დეკორატორად მუშაობს და საყვარელ
საქმეს ჩვეული ენერგიით აგრძელებს.

მუშაობა იქნება ეს თუ ბარით და
თონით, ყვავილების დარგვა, ამოღება
თუ გადატანა, — ყველაფერს ვაკეთებ.
— როგორც დეკორატორს, რა
არ მოგწონთ?
— სათქმელს ყოველთვის ვამ-
ბობ. ვეუბნები ყველას, ვისზეც
არის დამოკიდებული კონკრეტული
საქმის გამოსწორება. არც მემინია
და არც მრცხვენია არავისი. იმი-
ტომ, რომ გული მტკივა ქალაქზე.
ეს ყოველთვის ასე იქნება. თუნდაც
სამსახური დაგვტოვო, მაინც ჩემი
ქალაქის გულშემატკივარი და მისი
სილამაზისთვის მებრძოლი ვიქნები.
რაიონის ხელმძღვანელი, ვასილ
დავითაშვილი, ჩემს საქმეს აფასებს
და რჩევებს ითვალისწინებს. ერთხელ
თელავის ცენტრალურ ქუჩაზე,
ძველი ბაღის ტერიტორიაზე დარ-
გული ბუჩქები ამოვიღე და სხვაგან
გადავტანე. ეს მცენარე იქ არ უნდა
ყოფილიყო. ყვავილობის ხანგრ-
ძლივობა 10-15 დღე აქვს, მერე ხმება
და სილამაზეს კარგავს. ქალაქის
ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით,
მცენარეები ამოვიღეთ ცენტრალური
ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორი-
დანაც. არც ნადიკვარზე იყო იფნე-
ბის ადგილი. იქ ვერცხლისფერი ნაძ-
ვები და ბუხები დავრგეთ. ვცდილობ,
ქალაქში ყველაფერი ლამაზად იყოს.
ბუნებით ვარ ასეთი. გაფუჭებულ
რამეს რომ დავინახავ, იმდენად მწ-
ყინს და მაწუხებს, არ შემიძლია, არ
ვთქვა. რაღა შენ ხელაყ ვეღაფერსო,

— მეტყვიან ხოლმე. ბაღში, ახალ-
გაზრდები სკამის სასურველზე რომ
სხედან და ფეხსაცმლით სკამს
სვრიან, მოხუცი იქ როგორ უნდა
დაჯდეს? ესეც მაღიზიანებს. გული
მტკივა იმაზე, რომ ამხელა ქალაქს
ერთი სასათბურე მუერნობა არ აქვს.
ადრე ხეები მასობრივად ირგებოდა.
ბოლო დროს ეს აღარ ხდება. ალბათ,
არ არის ნერგების შექმნის საშუ-
ალება. ამ საკითხის მოგვარება და
ქალაქის გამწვანების მიმართ უფრო
მეტი ყურადღება კარგი იქნებოდა.
— ბოლო დროს გამწვანების
აქტივობა ხომ ეწყობა?
— ამ აქტივობაში ისეთი ხალხი
მონაწილეობს, რომლებსაც გამ-
წვანებისა ბევრი რამ არ გაეგე-
ბათ. კარგი შედეგი რომ მივიღოთ,
საქმეში სპეციალისტების აქტიური
მონაწილეობა და რჩევებია საჭირო.
ერთ მაგალითს გეტყვით, შექმნეს
კომისია, რომელმაც ეზოები უნდა
შეამოწმოს და ყველაზე ლამაზი ეზო
გამოავლინოს. მე არ ვარ ამ კომისიის
წევრი. კომისიაში არ არის, ასევე,
ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი,
რომელიც „ჯივივისის“ დეკორატორი
გახლავთ. ეს გულსატკეპნია.
— ახალგაზრდობას თუ აინ-
ტერესებს ის საქმე, რასაც თქვენ
ემსახურებით და რას ურჩევთ მათ?
— ახალგაზრდებიდან ჩემთან არ-
აინ მოსულა და არაფერი უკითხავთ.
მზად ვარ, ნებისმიერ დაინტერესე-
ბულ პირს ბევრი რამ ვასწავლო. ახ-
ალგაზრდებს კი ვურჩევ, უფროსებს
დაგვიჯერონ.

ია ჟიკლაური

„ჩვენი პროექტი“




Advertisement for 'ჩვენი პროექტი' (Our Project) featuring a book cover with the title 'გამაყვანებელი მოტივებით...' and other details.

ფესვებზე აქვს დაშენებული შემოქმედების ლიბო და სათქმელის ისე გადმოვცემს, რომ საინტერესოა ყველა თაობის მკითხველისათვის.

„სამყარო ჩემთვის გლოვისფერია“ – ვკითხულობთ მის სიტყვებს და გვახსენდება ის დიდი ტკივილიც, რომლითაც არის გაჟღერებული მისი ცხოვრება.

ტარიელ ხარხელაური კი ის პოეტია, რომელიც სამშობლოს ტკივილსაც ისევე განიცდის, როგორც საკუთარს. ის ანარეკლია ქართველის, ღირსეული ქართველი კაცის, რომლისთვისაც – „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.



ტარიელ ხარხელაურზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, თუმცა ამჯერად ასე დავაპირებ: თებერვლის ბოლოს პოეტის ახალი წიგნის პრეზენტაცია იგეგმება და მისი შემოქმედების ყველა თანდათან მსახიობის შექმნა მისი ახალი ლექსების გაცნობა.

„ჯვარ გეწერას, ძია ტარიელ!“  
სიყვარულით: ნინო ჭინჭარაული

ამ დღეებში, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში თვალსაჩინო პოეტის, ტარიელ ხარხელაურის 65 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ასეთი თბილი და სიყვარულით სავსე საღამო არც თუ ისე ხშირად გამართულა. ყველას სურდა თავისი წილი სიყვარული გამოეხატა იუბილარისთვის. სიტყვა წარმოთქვეს პოეტებმა: თემურ ჩალაბაშვილი, ერეკლე საღლიანა, თინათინ მღვდლიაშვილი... საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ ფოლკლორული ანსამბლი „ინანა“, „გორდელა“ და სხვები.



„სურვილი მიჩნდება, ტილო ფანჯარასავით გავაღო, რათა დავინახო იმ კარების გაგრძელება, რაც ამ პეიზაჟის მიღმა იგულისხმება.“ – ასეთი სიტყვები ჩაწერა შთაბეჭ-

დილებების წიგნში ფრედერიკ კოელიომ, როდესაც პარიზის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში ორმოციოდე ტილო დათვალიერა. ეს იყო გამოჩენილი ქართველი ხატმწერის,

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატის რეზა ალაშინაძის პირველი პერსონალური გამოფენა. 1998 წლის შემდეგ კი შედგაქვ

მზის აოსვლა-ჩასვლა

მიწვივის იგი მსოფლიო ხელოვნების ცენტრში და მისი მუდმივი წევრიც გახდა. ბატონ რეზოს უამრავი ჯილდო და აღიარება დაუშასხურებია, მაგრამ მისთვის ყველაზე საამაყო ის არის, რომ მსოფლიოს უამრავ მუზეუმსა და ეკლესია-მონასტერს ნათელს ჰქვანს მისი შესანიშნავი ტილოები.

„ზამთრის პეიზაჟი“ „მეგრული ოლა-სახლი“, „კოლხური თოვლის მისტიკა“, „შხეფის ციხე“ და სხვა უამრავი ტილო. საქვეყნოდ ცნობილია რევაზ ადამიას არამართო ფერწერა. მას ეკუთვნის უამრავი პუბლიცისტური ნაშრომი და ესე, წიგნი ტერენტი გრანელზე. ეს დღევანდელი შემოქმედი იმითაც არის გამოჩენილი, რომ ძალზე თავმდაბალი, გულისხმიერი, უღალატო და კაცთმოყვარეა.

ნინო ტარყაშვილს თითქმის მთელი საქართველო ფეხით აქვს მოვილი. ბევრი მოუსმენია და წაუკითხავს. ეძებს იმ წამალს, რაც საზოგადოდ ადამიანებს და ქვეყანას სჭირდება და პოულობს კიდევ-დაახ, პოულობს ყველაზე მთავარს – ღვთის წყალობას და სიყვარულს. ალბათ ამიტომაც იყო, რომ თავის დროზე პროფესიაც შეიცვალა: „სხეულის ექიმად ყოფნას, სულის ექიმად“ გახდომა ამჯობინა. ამის ნათელი დასტურია მისი გამოჩენილი ცხოვრების წესი. 1995 – 2002 წლებში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში აშუქებდა რელიგიის საკითხებს. გამოსცა წიგნებიც უმნიშვნელოვანეს თემებზე: „საქართველოს წმინდა მეფენი“, „ქართველ წმინდანთა პოეზია“, „ბუნება და წმინდანები“ და სხვა. ასევე კათოლიკოს-პატრიარქილია მეორის მიერ მოწოდებული ინიციატივები და იდეები ნათლად წარმოგიჩინეს თანამედროვე ქართველი ქრისტიანი ქალის რეალურ სახეს, რომელიც ლოცულობს, და უწმინდესის სიტყვებისა არ იყოს, ცდილობს დაიცვას თავისი წილი დიდგორი, დააფიქროს ადამიანები თანამედროვე უზნეო თამაშების ლოგიკურ შედეგზე. არადა, ასეთი თამაშები ხომ, სამწუხაროდ, ხშირია ჩვენს რეალობაში...

„იხმის ნახტომი“



პირველი პოეტური კრებულის – „იხმის ნახტომის“ პრეზენტაცია გაიმართა. ხალხით სავსე სამკითხველო დარბაზში, წიგნი მკითხველებს წარუდგინეს ლიტერატურული სალონის „საგულისონი“-ს ხელმძღვანელმა ცისანა ჭრაქაშვილმა და რედაქტორმა თამარ ფარუკიძემ.

საღამო სამების ახალგაზრდული ცენტრის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ცისანა ჭრაქაშვილი) გახსნა იოსებ ნონეშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერით: „არის ასეთი ქვეყანა“. უფრო ნიშანდობლივი კი ის არის, რომ დიდებული პოეტი იოსებ ნონეშვილი ნინოს ახლო ნათესავი გახლდათ და ეს სასიამოვნო სიმბოლური კავშირი დარბაზში ყველას თვალწინ გაცხადდა. თითქოს, როგორც ბავშვობაში, აქაც თანადგომა აგრძობინა თავის სისხლსა და ხორცს დიდმა მოსანამ.

კუთვნილია უფროსებისა და ბავშვებისათვის და გაყოფილია ორ ნაწილად. მეორე ნაწილში ნინოს ღირსეულად უმწერებს გერარდ თავისი ძმა გიორგი, საკუთარი ლექსებით. წიგნი ეძღვნება გამორადელი ბუბის, ნადია მუშტაკაშვილის ნათელ სსოვნას. წიგნს ამწვენებს წინასიტყვაობა, სადაც რედაქტორი, თამარ ფარუკიძე მოქნილად, დინამიურად და საინტერესოდ აფასებს ნინოს შემოქმედებას. ბავშვობაში ბუბის ნინოსთვის „ხეჩონხა“ შეურქმევია. ამ ამბავმა ერთი ქართული ფილმი „წიკაპურტები“ მომაგონა. ეტყობა, ნინოც „წიკაპურტების“ გმირივით „ველარ დაეტია ამხელა მიწაზე.“ ქვეცნობიერად უკვე პოეზია იზიდავდა, სამყაროს დანახვა და შეცნობა უნდოდა. ამიტომაც აღიოდა ხეობზე და „დაჩოხნავდა.“ შემდეგ კი მისთვის „ცანგალა“ შეურქმევიათ. აკი აღნიშნა კიდევაც ეს ფაქტი ნინოს მასწავლებელმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდან, ლია მაშულაშვილმა: „ეს ჩვენ შევარქვით ნინოს ცანგალაო“. პოეტმა მარინე თეთრუმანიძემ ნინოს ბავშვობის პერიოდზე ისაუბრა, როდესაც ის თანამშრომლობდა საბავშვო გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ და შემდეგ „ნერგში“, რისთვისაც დაჯილდოვებული იყო „არტკეის“ საგზურით, და „არტკელი“ სიმღერის ფესტივალის ლაურეატი გახდა.

საღამოს ესწრებოდნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. კრებულს გზა დაულოცეს: მხატვარმა რეზო ადამიამ, პოეტებმა: იზა ჯაჭვავიძე, თემურ ჩალაბაშვილი, ლალი ჯაფარაშვილი, რამაზ ბერაძემ, ჯუბა გოგრიტიანი, მანანა ზაზიკაშვილი და სხვებმა. კომპოზიტორმა მათა ელოშვილმა ნინოს ლექსებზე მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის სურვილი გამოთქვა. აღსანიშნავია, ის თბილი, ინტიმური გარემო, რომელიც დარბაზსა და გამომსვენებლებს შორის დამყარდა. ამას კი ხელი შეუწყო ანსამბლ „ბერმუნასა“ და „ლაზარეს“ სიმღერებმა, რომელთაც დარბაზიც დიდი სიამოვნებით აჰყვა. თავად ნინო ტარყაშვილმაც ექსპრომტად იმღერა „ნანა“ მგალობელთა გუნდის რეკონტთან ნანა როსტომაშვილიან და ანსამბლ „ლაზარესთან“ ერთად. იმ დროს, როდესაც ნინო ტარყაშვილი რელიგიურ თემატიკაზე დაწერილ წერილებს პრესაში აშუქებდა, საერო გაზეთებში იშვიათად წერდნენ. ამდენად, ამ წერილების თავმოყრა, საშური საქმეა და ალბათ, დანიტერესებული პირებისათვის ღია გაკეთილებდაც გამოდგება.

მთავალა ლიპარიძე

ლალი იორდანიშვილი



მკვლევარი, რუსთველოლოგი, ლექსიკოლოგი, ენათმეცნიერი და მთარგმნელი იყო. დედა **მარია ჯაჭვიაძე**, სათნო მანდილოსანი, თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული, რომელიც ხალხური სიტყვიერების შეკრებითაც იყო დაინტერესებული და აქტიურ თეატრალურ ცხოვრებასაც ეწეოდა.

ლალის მეუღლე – **შოთა შათირიშვილი** გახლდეთ პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, მრავალი მეცნიერის აღმზრდელი, უკეთილშობილესი და უანგარო პიროვნება.

ლალის მთელი ოჯახი მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა. ფილოლოგიის, მედიცინისა და ბიოლოგიის დარგებში მოღვაწეობენ: **მმა – გიორგი (სულა) იორდანიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსი, რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო რადიაქტიური ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგე**. შვილები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ლელა შათირიშვილი, გოჩა შათირიშვილი**, რომელსაც გერმანიაში, ქალაქ ლუბეკის სამედიცინო უნივერსიტეტში მიენიჭა მედიცინის დოქტორის ხარისხი. ამჟამად კი თბილისში ქართულ-გერმანული სპეციალიზე-

უკვე ერთი წელი სრულდება **ლალი იორდანიშვილის** გარდაცვალებიდან. იგი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი გახლდათ, ბედაური ქართულის მცოდნე. ეს არც არის გასაკვირი. მამა – **სოლომონ იორდანიშვილი**, რომელიც ძალზე ნაადრევად გამოაკლდა წუთისოფელს, ხომ მრავალმხრივი მოღვაწე – ფილოლოგი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის

ბული ონკოლოგიის კლინიკის პროფესორია, ლაბორატორია „ონკოლაბის“ ხელმძღვანელი. ამ სამი გვარის შთამომავლობა, თითქმის საუკუნეა, უანგაროდ ემსახურება ქართულ კულტურასა და მეცნიერებას.

როგორც უკვე ვთქვი, ამ დიდებულ და ბრწყინვალე ქართულ ოჯახს გამოაკლდა მეტად მოკრძალებული, უნიჭიერესი და დიდი ერუდიციის მქონე სპეტაკი სულის პიროვნება, რომელიც დიდი სიყვარულით სარგებლობდა როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ასევე ყველა საზოგადოებრივ სფეროში.

საკემარისია, წაიკითხოთ მისი ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის ნიმუშები, დარწმუნდებით მის სიდიდეს. რიგი წლების განმავლობაში დიდი მონდობით მუშაობდა მამის – **სოლომონ იორდანიშვილის** დანატოვარ მეცნიერული კვლევის მასალებზე. ბიოგრაფიულ და ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე და იმ სიყვარულით სავსე წერილებზე, რომლებსაც უგზავნიდა საყვარელ მეუღლეს – **მარია ჯაჭვიაძეს**.

ლალი იორდანიშვილს თითქმის დასრულებული ჰქონდა და წიგნად გამოცემას აპირებდა სათაურით: **სოლომონ იორდანიშვილი**.

აღარ არის ჩემი დიდი მოაზავე, ჩემი ძვირფასი მამიდაშვილი – **ლალი იორდანიშვილი**, რომელმაც თავისი წილი კვალი დატოვა ქართულ ენათმეცნიერებაში.

წავიდნენ, საითაოდ გაიკრიფნენ მამიდაჩემი – **მარია ჯაჭვიაძე, შოთა შათირიშვილი, ლალი იორდანიშვილი, ჩემი მშობლები**, სუთი და-ძმიდან მუდამაჟამს ჩემზე ზრუნავდა, ვუყვარდი, ყველგან დამატარებდა, წერილებს მიგზავნიდა და ყოველთვის სწავლისკენ მომიწოდებდა. წახვედით და... თან წაიღეთ თბილი ხელე-

ბი, ნატკენი გულები... შვილების დაოჯახებას და შვილიშვილებს ვერ შეესწარიო...

თქვენთან ერთად გაქრნენ ოცნებები... მმას – სულასაც დაეტყო უოქვენობა...

აღარ ისმის შენი ალერსიანი ხმა, ჩემო ლალი, ჩვენი საგვარეულოს და წინაპრების ცხოვრების გარდასულ ეპიზოდებზე, გულში ჩამწვლამ ამბებზე და დაძახილზე: **ჩემო იზიკო!** ეს ყველა ერთად შენს ალერსიან ხმასთან ერთად თან წაიღე... დაგრჩა გამოუქვეყნებელი, თითქმის წიგნად შეკრული ფუნდამენტური ნაშრომი ძვირფასი და სახელმწიფოებრივ მამაზე – **სოლომონ იორდანიშვილზე**... წაიღე გაუმხელებელი ამბებიც და სამშობლოს სიყვარულით სავსე გული, რომელსაც ვერასოდეს ვეღარ ვიპოვით... მას ცხრაკლიტული დაედო...

სიცოცხლე დასრულდა, მაგრამ ხსოვნა უსასრულოდ იელის... შენ რჩეული ხარ... შენი ყველაზე დიდი სადარდებელი მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ბედ-იღბალი და დაჭრილი ეროვნული სული იყო.

თქვენი რჩეული და ნიჭიერი შვილებიც დაოჯახდნენ და კიდევ მეტად გასახელებენ თქვენც და ქვეყანასაც.

**ბოლო დაბადების დღე შარშან – 2 დეკემბერს** წითელი მისაკებით მოგილოცე, თურმე როგორ გყვარებია მისაკები... ძალიან გაიხარე...

**შენს წლისთავზე 23 იანვარს მოგიტან წითელ მისაკებს და გაგახარებ...**

მარადჯამს შენი  
იზა ჯაჭვიაძე

გმირთა გმირი

გმირთა გმირია გიორგი, ბოტკოველების ვაჟი, — ფენებითაც რომ დაჰკიდო, ცრემლს არ გაურევს ხმაში! როგორც კი გამოიღვიძებს, უნდა გასჭიმოს ყირა,

არც თქვენი კანფეტი უნდა, არც შოკოლადის ფილა! უკვე ცნრა თვეა, გიორგი ცნრა ნაბადზედა ხტება, ნაღდი ვაჟკაცი იზრდება, მალე ორი წლის ხდება!

ელგუჯა ლეზანიძე



ქეთი თომაძის შვილები: ლიზა და გეგა

გაზეთ „კავკასიის“ სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, „კავკასიის“ ლაურეატის წოდება მიენიჭა: **როსტომ მაჩხოშვილს** 2011 წლის №7-8 (53-54) ნომერში გამოქვეყნებული ლექსების ციკლისათვის

მ ი ლ ლ ს შ ა

დაბადების დღეს ვულოცავთ:

ღირიჟორს, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორს **ბობი ჭიჭინაძეს**

თვალსაჩინო ნოველისტს, პოეტს **გულუ კობიაშვილს**

\*

ფილოლოგ

ჟურნალისტებს:

**იზა ბარამიძეს**

**სპარტაკ ქოზულიას,**

\*

**ლეილა არჩმაშვილს,**

პედაგოგ

**ომარ მარუაშვილს.**

**ნანა ინჰკირველს**



დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი

**იზა ჯაჭვიაძე**

რედაქტორი **ლაშა-გიორგი პრავეიშვილი**

რედაქტორის მოადგილე **ლიანა გიგიაძე**

სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, კობა ბუჩუკური, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუგზარ ილიძე, მარინე თეთუშანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩმაშვილი, გულუ კობიაშვილი, ომარ მარუაშვილი, გოჩა ხარაშაული, ჯაბრეილ ხანგოშვილი.

ბაზითი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად ამაზე პასუხს. მასალაში უმთავრესი ფაქტების სისწორეში, ავტორთა მოსაზრებებში უმთავრესი არ მთავრდება რედაქციის კომიტეტის. ბაზითიდან მასალის გადაბეჭდვა რედაქციისათვის უშუალოდ დაუშვებელია.

მისამართი: **კოსტავას ქ.№14 ტელ: 52-16-38 899-79-76-13**

დაკავშირების კობა ბედოიძის **ელ.წინადაცნობაში** [www.bedoidze.site.ge](http://www.bedoidze.site.ge)